

## საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N14 - ბარათის 3D მომსახურება

1. **ბარათის 3D უსაფრთხოება** წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებულ დაცვის დამატებით საშუალებას, კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბარათებით ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მხარდაჭერით აღჭურვილია შესაბამისი ვებ-გვერდი.
2. **ბარათის 3D უსაფრთხოების** გააქტიურება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ VISA და MasterCard საგადახდო სისტემის ბარათზე.
3. **განაცხადში კლიენტი/ბარათის მფლობელი** მიუთითებს **ფინანსურ ნომერს** ან/და **Digipass-ს**, რომელზეც მის მიერ ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელებისას გაიგზავნება **ერთჯერადი კოდი**, შესაბამისი გადახდის/გადარიცხვის განხორციელების დამატებითი დადასტურებისათვის.
4. თუ **კლიენტს/ბარათის მფლობელს** გააქტიურებული აქვს **ბარათის 3D უსაფრთხოება**, გადახდის/გადარიცხვის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიღებული **ერთჯერადი კოდით** დამატებით დადასტურების განხორციელების შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მხარდაჭერით აღჭურვილია შესაბამისი ვებ-გვერდი.
5. **ბარათის 3D უსაფრთხოება** მოქმედებს მისი გააქტიურებიდან **ბარათის** მოქმედების ვადის ბოლომდე ან წინამდებარე **დანართით** გათვალისწინებული წესით დეაქტივაციამდე.
6. **ბარათის 3D უსაფრთხოების** დეაქტივაცია ხორციელდება **ბანკისათვის** შესაბამისი **განაცხადის** წარდგენის გზით.